საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 22 0000443992

03/05/2022

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^{5}მე-7^{1}პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს კავკასიის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1200400 09/11/2021 სააკრედიტაციო განაცხადი „კიბერუსაფრთხოების“ ინგლისურენოვან ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N1263296 ბრძანების საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის N66332 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 21 და 22 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო 2022 წლის 06 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 15 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კერძოდ გაცემული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევაში და 1.2. კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის № 1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარადა განსაზღვრა შემდეგნაირად:

რჩევები:

- სასურველია, რომ პროგრამამ სწავლის თითოეული შედეგისთვის შეიმუშაოს შესრულების ინდიკატორების ყოვლისმომცველი ნაკრები და შემდეგ განსაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ის შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, იმას, თუ რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე კურსის ნაკლებად დაყოფილი საერთო შეფასება.
- ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის ადმინისტრაციას საქართველოში ურჩევს მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებთან, რათა პროგრამა ყოველთვის იყოს თანამედროვე და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი; საჭიროა მუშაობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა

კიბერუსაფრთხოება დაემატოს საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკაციას და მოხდეს შესაბამისი ხარისხის მინიჭება; ორივე დაწესებულებამ უნდა იფიქროს ცენტრალიზებული შეფასებისა და ადმინისტრირების სისტემაზე, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო შეფასებისა და მონიტორინგის ელექტრონულ პლატფორმაზე; მათ უნდა მოაწყონ ოფიციალური და/ან არაოფიციალური შეხვედრები ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა შექმნან პლატფორმა გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარებისთვის;

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის დაშვების წინაპირობები დაიწეროს ისე, რომ ნათლად მიუთითებდეს (როგორც წერია ხელშეკრულებაში) შემდეგს: სტუდენტები ცალკე განაცხადს აკეთებენ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში და მოეთხოვებათ მინიმუმ 90 ECTS ფლობა და "C1-ის" მოპოვება ყველა საგანში.
- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასარგებლო იქნება ლაბორატორიულ ან პრაქტიკულ სამუშაოებში მიღწეული სწავლის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებისთვის საჭირო პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების კუთხით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 15 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამა Joint Program in Cyber Security
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ)
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. კავკასიის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში / Bachelor of Science in Computer Science 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კიბერუსაფრთხოებაში / Bachelor of Science in Cyber Security
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი / 0613 Software and applications development and analysis
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	200

14	განხორციელების ადგილი	1. კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა სააკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - 2039 კენედის Blvd ჯერსის სითი, ნიუ – იორკი, 07003, აშშ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	15.04.2022
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	15.04.2026